

# ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

## VI თავი

### სტუდენტის სწავლის შედეგი და შეფასება (განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2022 წ)

ბსუ-ს სასწავლო პროცესში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასების რეგულაცია მოცემულია ბსუ-ში საგამოცდო პროცესი წარიმართება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N2),

სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება ცალკეულ კომპონენტში მიღებული შეფასებით. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.) სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს **შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს**.

სტუდენტის შეფასებები სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით აისახება **სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში** (შეფასების უწყისში).

სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა.

#### შუალედური შეფასება მოიცავს:

- ა) შუალედური გამოცდის შეფასებას - მაქსიმუმ 20 ქულა;
- ბ) მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. მიმდინარე შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს წერიტი გამოკითხვები (ტესტი, რეზიუმე, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსი და სხვა), ზეპირი გამოკითხვები (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა სემინარზე და სხვა) და შეფასების სხვა ფორმები (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვა).

დასკვნითი შეფასების ფორმებია: დასკვნითი გამოცდა, პროექტი ან სხვა სახის შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის (სასწავლო კურსის) სილაბუსში მკაფიოდ აღიწერება შეფასების ფორმები და კრიტერიუმები,

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იყოფა კატეგორიებად:

- ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე სასწავლო კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამისი კოეფიციენტის (50 ქულამდე - 0; 51-დან 61-მდე -1.55; 61-დან 71-მდე -2.16; 71-დან - 81-მდე - 2.77; 81-დან 91-მდე - 3.38; 91-ზე მეტი -4) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე.  $GPA = (\sum GP \cdot CR) / (\sum CR)$ , სადაც GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამის კოეფიციენტს, ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.